

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28
2016 წლის 20 სექტემბერი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში (www.matsne.gov.ge, 04/02/2015;0102600 20.35.153.01.6252), კერძოდ:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

1. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მისაღებად მოსარგებლე/განმცხადებელი მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში წარადგენს:

ა) განცხადებას მუნიციპალიტეტის გამგებლის სახელზე;

ბ) მოსარგებლის ან/და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლს, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტს;

გ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის მოხსენებით ბარათს, რომელიც აღწერს მოსარგებლე ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას;

დ) დოკუმენტს თანადაფინანსების თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემულ დოკუმენტებს:

ე.ა) ფორმა №100;

ე.ბ) ხარჯთაღრიცხვას;

ე.გ) ანგარიშ-ფაქტურას;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯემალ სოლოღაშვილი

